საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 2595 2018 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

„მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 მარტის №671 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 მარტის №671 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და:

ა) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს სსიპ – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსათვის არა უმეტეს 8 509 105 (რვა მილიონ ხუთას ცხრა ათას ას ხუთი) ლარის გამოყოფა მის მიერ წარდგენილი წინადადებების საფუძველზე, საიდანაც 7 509 105 (შვიდი მილიონ ხუთას ცხრა ათას ას ხუთი) ლარი მიმართული იქნება „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-

საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 მაისის №265 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის განხორციელებისათვის, ხოლო 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარი – „რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №150 დადგენილების ფარგლებში მაღალმთიან დასახლებებში რეგისტრირებული რძის მწარმოებელი კოოპერატივების დასაფინანსებლად;“;

ბ) „ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის 150 000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარის გამოყოფა, სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის გადასაცემად, ამავე უნივერსიტეტის ბაზაზე მთის ფაკულტეტის შექმნისა და შესაბამისი სასწავლო პროგრამის მოსამზადებლად.“.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**